სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 186

ქ.რუსთავი 29 ნოემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის პირველი მოადგილის ავთანდილ ჩიტაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს„სითი ლაითი”(შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან კიტიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის შპს„სითი ლაითი”-ის სატენდერო წინადადების საფუძველზე, SPA170014384 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 **გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურების (საახალწლო გარე განათებები)** (CPV 315 00000)

2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა და მოცულობა მოცემულია დანართ №1-ში

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 51 000 (ორმოცდა თერთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება წარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის სასაქონლო ზედნადებისა ან/და ანგარიშფაქტურის საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3 დაფინანსების წყარო:.2017 წლის სახსრები.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების გაფორმების შემდეგ, რომელსაც „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერს ა(ა)იპ„უზრუნველყოფა”-ს გარეგანათების სამსახურის უფროსი გულივერ სამუშია, ა(ა)იპ„უზრუნველყოფა”-ს საწყობის გამგე დავით ხიჯაკაძე, ა(ა)იპ„უზრუნველყოფა”-ს დირექტორის მოადგილე ტრანსპორტის კეთილმოწყობისა და დაცვის საკითხებში გურამ ლოსეურაშვილი,ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს„სითი ლაითი”-ს დირექტორი ქეთევან კიტია.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

„მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის აღწერა;

„მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულება;

„მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის ჩამონათვალი;

შემსყიდველი მიმწოდებელი

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 ეტაპობრივად: ფასების ცხრილში დაფიქსირებული პირველ 5(ხუთი) პოზიციაში დასახელებული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 სამუშაო დღეში, ხოლო დანარჩენი საქონელი არაუგვიანეს 2017 წლის 15 დეკემბრისა მისამართზე: ქ. რუსთავი, ყაზბეგის ქ. № 2.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული საქონელი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული, ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

გ) მიწოდებული საქონელი წარმოდგენილი უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არ მყოფი),ქარხნული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს საქონლი ახალი საქონლით 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს (შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

,,შემსყიდველი“ ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“ მის.: (იურიდიული) ქ. რუსთავი მ. კოსტავას გამზ N 20 (ფაქტიური) ქ. რუსთავი ალ. ყაზბეგის ქ. N 2 ს/კ 416 292 979 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბ/კ TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 დირექტორის პირველი მოადგილე: ავთანდილ ჩიტაია	„მიმწოდებელი“ შპს,,სითი ლაითი'' მის:თბილისი, ნ.რამიშვილის 2 ს/კ: **404868112** ბანკი: ს.ს,,თი ბი სი ბანკი'' ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE81TB7587136020100001 დირექტორი: ქეთევან კიტია

ფასების ცხრილი

დანართი №1

N	საქონლის დასახელება	განზ. ერთ.	რაოდ.	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება	წარმოშობის ქვყანა	საქონლის მწარმოებელი ფირმა და მოდელი/სახელწოდება	ესკიზის ნომერი
1	მანათობელი LED სტრინგი(DK) 20მ.) LED CW/2pin/ არა ნაკლებ- IP44/(ცივი,თეთრი ნათებით)	ცალი	100	45.00	4,500.00	ჩინეთი	WENLING Jinhou$lanters Factori /TERSEN TRADING CO.(L.L.C.)/LED Light 20m. CW-c/2pin Connect,power cord PVC-	
2	მანათობელი LED სტრინგი(DK) 20მ.) LED/WW/2pin/ არა ნაკლებ- IP44/ (თბილი,თეთრი ნათებით)	ცალი	200	45.00	9,000.00	ჩინეთი	WENLING Jinhou$lanters Factori /TERSEN TRADING CO.(L.L.C.)/LED Light 20m. CW-c/2pin Connect,power	
3	მანათობელი LED სტრინგი(DK) 20მ.) LED CW/2pin/ არა ნაკლებ- IP44/ (ფერი შემსყიდველთან შეთანხმებით)	ცალი	40	44.95	1,798.00	ჩინეთი	WENLING Jinhou$lanters Factori /TERSEN TRADING CO.(L.L.C.)/LED Light 20m. CW	
4	მოციმციმე მანათობელი ფარდა 2 x 3 მ.(DK) / LED CW/2pin/ (25 ცალი თბილი,25 ცალი ცივი ნათებით)თეთრი,წვიმის იმიტაციით.	ცალი	50	200.00	10,000.00	ჩინეთი	WENLING Jinhou$lanters Factori /TERSEN TRADING CO.(L.L.C.)/LED Light 20m. CW-	

5	სტრობოსკოპი არა ნაკლებ- IP65	ცალი	50	12.84	642.00	ჩინეთი		
6	**არსებული გარე განათების დეკორატიული ბოძის მანათობელი კონსტრუქცია** (სტრინგების (გირლიანდის) ცივი LED თეთრი ნათებით არანაკლებ IP44 სიმაღლე 3,80მ,ზედა რკალი არანაკლებ 1,90მ-დამორება ზედა რკალზე სტრინგებს შორის არაუმეტეს 0,20 სმ,ქვედა რკალი არანაკლებ 0,50 სმ,ზედა რკალზე უნდა დამონტაჟდეს ლოლოს ფარდა თეთრი LED ნათებით არანაკლებ IP44) მონტაჟით	ცალი	14	800.00	11,200.00	ჩინეთი	TERSEN TRADING CO.(L.L.C.)Irone Frame/Led CW-c/ Led Sring Light/4M.(H)X2M.II CO.(L.L.C.)/Icicl LED Light WW 6m.*1,50m.(DIF.>SI ZEMixx Tecn.H-	
მანათობელი დეკორატიული დასაკიდი ფორმები (მანათობელის ფორმებში გამოყენებული უნდა იყოს გარეგანათების LED წერტილოვანი ნათება **IP-44** წარმოდგენილი მანათობელი უნდა იყოს ორმხრივი)								
7	**ფიფქი**: დიამეტრი არანაკლებ 1,20მ არაუმეტეს 1.30მ	ცალი	14	200.00	2,800.00	ჩინეთი	WENLING Jinhou$lanters Factori/TERSEN TRADING CO.(L.L.C. MOTIVE-1.20(MD) Irone Frame/Led CW-c/ Rope 11mm. 2 side Led Chip	
8	**ფიფქი** დიამეტრი არანაკლებ 1მ არაუმეტეს 1.10მ	ცალი	14	200.00	2,800.00	ჩინეთი	WENLING Jinhou$lanters Factori/TERSEN TRADING CO.(L.L.C. MOTIVE-1.00(MD) Irone Frame/Led	

9	**ფიფქი**: დიამეტრი არანაკლებ 0.80მ არაუმეტეს 0.90მ	ცალი	14	200.00	2,800.00	ჩინეთი	WENLING Jinhou$lanters Factori/TERSEN TRADING CO.(L.L.C.	
10	**ფიფქი:** დიამეტრი არანაკლებ 0,50მ არაუმეტეს 0.60მ	ცალი	28	195.00	5,460.00	ჩინეთი	WENLING Jinhou$lanters Factori/TERSEN TRADING CO.(L.L.C.	
	ჯამი:				***51,000.00***			

სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული გადასახადების გათვალისწინებით.

შპს "სითი ლაითი" ს/კ 404868112/
თბილისი, ნ. რამიშვილის N2,
ტელ.: +995 599 28 20 27 / ketikitia@gmail.com
TBC Bank TBCBGE22 /
სს თი-ბი-სი ა/ა ა/ნ GE81TB7587136020100001(GEO-Lari)

დირექტორი ქ. კიტია

ხელმოწერა

თანამდებობა, სახელი, გვარი